განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

05.03.20-02.04.20
24.04.20

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა) |
| განათლების საფეხური | ----- |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან თაყაიშვილი<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ჩარკვიანი<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი<br>საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (მუსიკა) პროგრამა 2019 წელს შეიქმნა. მისი შექმნის საჭიროებაზე მიუთითებს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევები და გამოკითხვები. პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა მუსიკის ცენტრის განათლების სკოლასთან თანამშრომლობის შედეგად, გათვალისწინებული იყო მომიჯნავე პროგრამების გამოცდილება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის, შიდა და გარე შეფასების, კვლევების შედეგები.
პროგრამა იყოფა პედაგოგიურ (30 კრედიტი) და საგნობრივ ბლოკებად (24 კრედიტი), რასაც ემატება სასკოლო პრაქტიკის ბლოკი (6 კრედიტი). პროგრამაში შეჯერებულია საგნის სწავლების თეორიული და პრაქტიკული მხარეები.

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
აკრედიტაციის ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა შედგა 3 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სადაც გამოიკვეთა და განისაზღვრა პროგრამასთან დაკავშირებული შეკითხვები. აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც დაგეგმილი იყო, შედგა 5 მარტს (10:00-19:10). შეხვედრები წარიმართა განრიგის მიხედვით, რის შედეგადაც სამუშაო ჯგუფი შეხვდა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილე ყველა რგოლის წარმომადგენლებს: უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს, აკადემიურ და მიწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. სამუშაო ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: აუდიტორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები. ვიზიტმა მშვიდ, თანამშრომლობის ატმოსფეროში ჩაიარა.
ვიზიტის დროს სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა, სრულად გაცნობოდა პროგრამასთან დაკავშირებულ მონაცემებს და პასუხი მიეღო არსებულ შეკითხვებზე. ვიზიტის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტებმა გააცნეს პროგრამისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ძირითადი მიგნებები.

**პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან**
დოკუმენტაციის განხილვისა და ვიზიტის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა), უმთავრესად, შესაბამისობაშია სტანდარტებთან.
დოკუმენტაციის გაცნობისას წარმოშობილი დასაზუსტებელი საკითხები ინფორმაციულად შეივსო ვიზიტის დროს და ამის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც შეცვლასა და დახვეწას საჭიროებს:

რეკომენდაციები

- პროგრამის მესვეურების მიერ გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის შემადგენელ ერთ-ერთ კურსში კარლ ორფის სახელის გამოყენება ორგანიზაციის Carl-Orff-Stifftung (კარლ ორფის ფონდი) მიერ დაწესებული რეგულაციების დარღვევად ჩაითვლება. კურსთან - „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა“ (6 კრედიტი) დაკავშირებით ექსპერტმა ჯგუფმა მიმართა Carl-Orff-Stifftung-ს (კარლ ორფის ფონდი). პასუხის თანახმად (იხილე დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია), ორგანიზაცია 2019 წლის 3 დეკემბრიდან მასთან აკრედიტაციის გავლას ითხოვს კარლ ორფის მეთოდთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის სალექციო კურსის/სემინარის/ტრენინგის - ფუნქციონირებისათვის, ხოლო კურსის წარმართვის უფლება ლიცენზიის სახით ენიჭება მხოლოდ ფონდის მიერ სერტიფიცირებულ პედაგოგს. შესაბამისად, კურსის „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა“ ფუნქციონირება არსებული სახით არ იქნება შესაძლებელი
- პროგრამის მიზნები - *„მოამზადოს მუსიკის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“* - ზოგადია, შეიძლება მიესადაგოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ნებისმიერ საგანში. ექსპერტთა აზრით, თეორიულ ცოდნასთან, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან და ღირებულებებთან ერთად წარმოსაჩენია შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარებიც, რაც მუსიკის მასწავლებლის აუცილებელ და განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს სკოლაში მუშაობისას. ასევე, მიზნების ბოლოს *„შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“ მოთხოვნებს“,* სასურველია, ჩაემატოს *„მუსიკის“ (მასწავლებლისადმი)*
- სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში არ აქვთ შესაძლებლობა, განივითარონ/ განიმტკიცონ მუსიკის მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული ისეთი შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარები, რომლებიც მათ მიერ პედაგოგიური პროცესის წარმართვის აუცილებელი წინაპირობაა. ასეთებია:

  “ა.ა) სიმღერა (მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემა ნაწარმოების შესრულების დროს; გამართული სოლფეჯირების უნარები; სოლო და საანსამბლო/საგუნდო პარტიების შესრულებისა და სწავლების უნარები);

  ა.ბ) საკრავის/საკრავების ფლობა მარტივი მუსიკალური ნაწარმოების შესრულების, აკომპანემენტის სახით, იმპროვიზაციის დროს;

  ა.გ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება)“ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში / მუხლი 90. დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/253918.pdf

კომისია მიიიჩნევს, რომ ამ უნარების გარეშე შეუძლებელია მუსიკის გაკვეთილის სრულფასოვანი წარმართვა და მათი განვითარება/განმტკიცება მასწავლებლისათვის პროგრამის საგნობრივმა მიმართულებამ უნდა უზრუნველყოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საშემსრულებლო უნარები, რაც, თავისთავად, მომავალი მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის საშემსრულებლო უნარების განვითარების საწინდარი იქნება
- სასურველი იქნება სტუდენტებისათვის არჩევითი კურსის შეთავაზება ქცევის მართვის მიმართულებით, რისი საჭიროება მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერაც დადასტურდა
- სასურველი იქნება, დაისახოს გარკვეული გეგმები პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის
- პროგრამა ამზადებს მასწავლებლებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობა გახდება ნებისმიერი საჭიროების მოსწავლის ინკლუზია განათლების სისტემაში. ამის მისაღწევად სასურველია მოწვეული ლექტორების იმ ნაწილს, რომელთა პროფესია და სილაბუსები არ ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური განათლების ფილოსოფიის პრინციპებს, შესთავაზონ ტრენინგები ამ მიმართულებით
- სილაბუსში „მუსიკის სწავლების საფუძვლები“ ცოტა დრო ეთმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, როგორიცაა მუსიკის სასწავლო გეგმა და საერთოდ არაა ასახული მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი (მხოლოდ მითითებულია). ეს დოკუმენტები მათი მნიშვნელობის შესაბამისად უნდა აისახოს კურსში
- საგნობრივი კურსების დასახელება კურიკულუმსა და სილაბუსში არ ემთხვევა და შესასწორებელია
- კურსის „ტრადიციული მუსიკის სწავლება სკოლებში“ მეთოდების ჩამონათვალში ჩასამატებელია პროექტული სწავლება, რასაც კურსი, სილაბუსის მიხედვით, იყენებს
- სასურველია, აკადემიური და მიწვეული პერსონალის მონაცემები, კერძოდ, CV ერთ ფორმაში იყოს წარმოდგენილი. სასურველია, ასევე, ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტა უნივერსიტეტის კორპორაციული მეილით შეიცვალოს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>• დოკუმენტაციის გაცნობისა და ვიზიტზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შეესაბამება დასახულ მიზნებს, რაც პროგრამის სტრუქტურით, მასში შემავალი კურსების შინაარსითა და მათი წამყვანი პერსონალითაა განპირობებული. მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, მიმართულია პროფესიონალი მასწავლებლის ჩამოყალიბებაზე და მათი მიღწევა შესაძლებელია, რაზეც მეტყველებს მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა წარმატებული საქმიანობა სკოლაში და მათი დამსაქმებლების გამოხმაურება<br>• აღნიშნული პროგრამის მიზნები ზოგადად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, თუმცა ეს მიზნები - „მოამზადოს მუსიკის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“ - შეიძლება მიესადაგოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ნებისმიერ საგანში<br>• ამგვარი პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა, რომელიც მუსიკის კვალიფიციურ მასწავლებელს მოამზადებს, დადასტურებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის “მასწავლებელთა დეფიციტის კვლევა” მონაცემებით, დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ასევე ანალოგიური პროგრამების მცირე რაოდენობით ქვეყანაში; პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ასევე, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსაც, თუმცა სასურველი იქნებოდა გარკვეული გეგმის შემუშავება პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით<br>• პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ფაკულტეტის სტრატეგიასა და განათლების სკოლის დებულებასთან. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგია
- განათლების სკოლის დებულება
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის “მასწავლებელთა დეფიციტის კვლევა” მონაცემები
- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნები - *„მოამზადოს მუსიკის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“* ზოგადია, შეიძლება მიესადაგოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ნებისმიერ საგანში. ექსპერტთა აზრით, თეორიულ ცოდნასთან, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან და ღირებულებებთან ერთად წარმოსაჩენია შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარებიც, რაც მუსიკის მასწავლებლის აუცილებელ და განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს სკოლაში მუშაობისას. ასევე, მიზნების ბოლოს, *„შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“*, სასურველია, ჩაემატოს *„მუსიკის“ (მასწავლებლისადმი).*

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველი იქნებოდა გარკვეული გეგმის დასახვა პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერს.

შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, რაც მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერვიუებიდან ჩანს.

პროგრამის სტრუქტურა, მასში შემავალი კურსები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მათ რეალისტურობას ადასტურებს სწავლის შედეგების რუკა. სწავლის შედეგები თანხვედრაშია მიზნებთან, უფრო მეტადაა დაკონკრეტებული, სხვადასხვა საგნის მასწავლებლის მომზადებისათვის განსაზღვრულ ზოგად შედეგებთან ერთად ასახავს ესთეტიკური აღზრდის სფეროს მახასიათებლებს, თუმცა ნაკლებად, უშუალოდ საგნის სპეციფიკას, რაც ეხება საშემსრულებლო (დროსა და სივრცეში განფენილ პროცესში მონაწილეობის) უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების, არსებული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თანამშრომლობით, ინტერვიუებში, გამოკითხვებსა და ფოკუს-ჯგუფებში მათი მონაწილეობითა და რეკომენდაციებით.

როგორც თვითშეფასების ანგარიშში წერია, „ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მუსიკა) ამოქმედებისთანავე განხორციელდება პროგრამის მიმდინარეობისა და სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება“.

პროგრამას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ეყრდნობა მომიჯნავე პროგრამების ფუნქციონირების გამოცდილებას. შიდა თვითშეფასების, როგორც უწყვეტი პროცესის პერიოდი მოიცავს ერთ წელს და მომდევნო სემესტრში კი ანგარიშის წარდგენასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

| |
|---|
| პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის, რომელთა განსაზღვრისას პროგრამის მესვეურები დაეყრდნენ მომიჯნავე პროგრამების 2016-2017 და 2017-2018 წლების მონაცემებს.<br>რამდენადაა მიღწეული სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ისინი თანამედროვე მოთხოვნებსა და საჭიროებებს, განსაზღვრება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. სწავლის შედეგების მიღწევა (მომიჯნავე პროგრამის მაგალითზე) დასტურდება პრაქტიკის კურსში შესრულებული აქტივობებითა და პორტფოლიოთი, რაც მოიცავს: თემატურსა და გაკვეთილის გეგმას, ვიდეოჩანაწერს, პროგრამაზე სწავლის პროცესში შესრულებულ საუკეთესო ნაშრომებს, პროფესიული განვითარების გეგმას.<br>პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაშიც მათ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე და კურიკულუმის ექსპერტები ეხმარებიან. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის შეფასებასთან საკითხებზე შემუშავებული აქვს ტრენინგმოდული, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი სამსახურებისა და პერსონალისათვის.<br>პროგრამის შეფასების შედეგები გამოიყენება მისი განვითარებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/<br>• სწავლის შედეგების რუკა<br>• პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები<br>• პრაქტიკის დოკუმენტი<br>• ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>პროგრამის სწავლის შედეგები სხვადასხვა საგნის მასწავლებლის მომზადებისათვის განსაზღვრულ ზოგად შედეგებთან ერთად ასახავს ესთეტიკური აღზრდის სფეროს მახასიათებლებს, თუმცა ნაკლებად, უშუალოდ საგნის სპეციფიკას, რაც ეხება საშემსრულებლო (დროსა და სივრცეში განფენილ პროცესში მონაწილეობის) უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საშემსრულებლო უნარები, რაც შემდგომ მოსწავლისათვის მათი განვითარების საწინდარი იქნება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |

| |
|---|
| o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ბაკალავრის ხარისხი და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარება) და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცედურა გამოცდის წარმატებით ჩაბარებას გულისხმობს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია, თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა მონაწილეობას.
ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა სკოლებთან, რასაც დამსაქმებლები ძალიან სასარგებლო ურთიერთობად მიიჩნევენ როგორც სკოლის განვითარებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.<br>პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;<br>დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა) შედგება პედაგოგიური, მუსიკალური და სასკოლო პრაქტიკის კურსებისაგან (30, 24, 6) კრედიტი. პროგრამაში შედის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა).<br>პროგრამით გათვალისწინებული საგნების უმეტესი ნაწილი ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტით მიმდინარეობს, რაც ლექციებზე ნასწავლი მასალის საგაკვეთილის პროცესში თვალის მიდევნებასა და შეფასებას გულისხმობს სტუდენტების მიერ და რაც მათ მოწონებას იმსახურებს. ცალკეა სასკოლო პრაქტიკა, რომელიც მთელი პროგრამის მასალის აკუმულირებულ გამოცდას წარმოადგენს. კურსი საბოლოოდ პორტფოლიოთი ფასდება.<br>უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სკოლების მხარდაჭერის პროექტი, რაც სკოლის კოლექტივის გადამზადებასა და მის პროფესიულ განვითარებას გულისხმობს, საშუალებას აძლევს უსდ-ს პრაქტიკის კომპონენტის შეთანხმებულ, მისთვის მისაღებ რეჟიმში წასამართად.<br>უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/<br>• სწავლის შედეგების რუკა<br>• პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები<br>• პრაქტიკის დოკუმენტი<br>• ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან |
| **რეკომენდაციები:** |

▪

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში პედაგოგიური ბლოკის საგნები მოიცავს სასკოლო ურთიერთობების წარმართვისათვის აუცილებელ ქვაკუთხედს. წარმოდგენილია სავალდებულო საგნების (6-6 კრედიტი), მაგალითად, „სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები და სწავლება“ და ა.შ. ამის გარდა, გვხვდება 4 არჩევითი საგანი (3-3 კრედიტი), რომლებიც არატრადიციული თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მათ შორისაა „ცოდნა და ღირებულებითი განათლება“, „სასკოლო ურთიერთობების ეთიკა“, „ინფორმაციული წიგნიერება“, „ინტერკულტურული განათლება - პედაგოგიური მიდგომები“.
მუსიკალური ბლოკი წარმოდგენილია ოთხი განსხვავებული ტიპის სილაბუსით.
როგორც პროგრამის თანახელმძღვანელმა აღნიშნა, საგნობრივი კურსების ამგვარი ჩამონათვალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებითაა განპირობებული.

პროგრამის შემადგენელ კურსთან - „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა“ (6 კრედიტი) დაკავშირებით ექსპერტმა ჯგუფმა მიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია Carl-Orff-Stifftung-ს (კარლ ორფის ფონდი). მათი პასუხის თანახმად (იხილე დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია), ორგანიზაცია 2019 წლის 3 დეკემბრიდან მასთან აკრედიტაციის გავლას ითხოვს კარლ ორფის მეთოდთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის სალექციო კურსის/სემინარის/ტრენინგის ფუნქციონირებისათვის, ხოლო კურსის წარმართვის უფლება ლიცენზიის სახით ენიჭება მხოლოდ ფონდის მიერ სერტიფიცირებულ პედაგოგს. ახალი რეგულაციების შესაბამისად, კურსი „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა“ (6 კრედიტი) ამ ფორმით ვერ იქნება დასახელებული პროგრამის ნაწილი.
სილაბუსში „მუსიკის სწავლების საფუძვლები“ ცოტა დრო ეთმობა მუსიკის სასწავლო გეგმას და საერთოდ არაა განხილული მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი. ამ დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა მათი ხვედრითი წილის გაზრდა.

კურიკულუმსა და სილაბუსში არ ემთხვევა საგნობრივი კურსების დასახელებები, მაგალითად დავასახელებთ ერთ-ერთ კურსს, რომელიც გვხვდება, როგორც „ტრადიციული მუსიკა და მისი გამოყენება სწავლების დაწყებით საფეხურზე“ კურიკულუმში და „ტრადიციული მუსიკის სწავლება სკოლებში“ სილაბუსში.

როგორც მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებისგან გახდა ცნობილი, პროგრამის დასრულების შემდეგ მათი თავდაჯერება მაღალია სწავლების ყველა ასპექტში გარდა ერთისა - ნევროლოგიური, სოციალური და სხვადასხვა სინდრომით გამოწვეული რთული ქცევის მართვისა. მართალია, პროგრამის ერთ-ერთი კურსის სილაბუსი „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა“ შეიცავს კლასის მართვის სტრატეგიებს, პოზიტიური გარემოს შექმნას, უდისციპლინო ქცევისგან თავის არიდების გზებს, თუმცა მასწავლებელს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის აგრეთვე ესაჭიროება ქცევის გამოყენებითი ანალიზის, დევიაციის ფსიქოლოგიის, ბრაზის მართვის, ქცევის დარღვევის ნევროლოგიური და სოციალური საფუძვლები. მასწავლებლის უფლებების ცოდნა გამწვავებული ქცევისას გაკავების პროცესში; დევიაციური ქცევის დაფიქსირებისას შესაბამის უწყებებთან რეფერირების პროცესის ცოდნა. პროგრამის სრულყოფისთვის, გარდა არაფორმალური განათლებისა, რომლის საშუალებას ტრენინგის სახით იძლევა უნივერსიტეტი. ექსპერტთა აზრით, სასურველია, პროგრამას დაემატოს ქცევის მართვის თუნდაც არჩევითი კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წარმოდგენილი კურსის „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა“ ფუნქციონირება არსებული სახით და ორფის სახელის გამოყენება ორგანიზაცია Carl-

Orff-Stifftung-ის რეგულაციების დარღვევა იქნება, რაც გასათვალისწინებელია პროგრამის მესვეურების მიერ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- როგორც მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებისგან გახდა ცნობილი, პროგრამის დასრულების შემდეგ მათი თავდაჯერება მაღალია სწავლების ყველა ასპექტში გარდა ერთისა - ნევროლოგიური, სოციალური და სხვადასხვა სინდრომით გამოწვეული რთული ქცევის მართვისა. მართალია, პროგრამის ერთ-ერთი კურსის სილაბუსი „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა" შეიცავს კლასის მართვის სტრატეგიებს, პოზიტიური გარემოს შექმნას, უდისციპლინო ქცევისგან თავის არიდების გზებს, თუმცა მასწავლებელს ინკლუზიური განათლების განხორციელე-ბისათვის აგრეთვე ესაჭიროება ქცევის გამოყენებითი ანალიზის, დევიაციის ფსიქოლოგიის, ბრაზის მართვის, ქცევის დარღვევის ნევროლოგიური და სოციალური საფუძვლები. მასწავლებლის უფლებების ცოდნა გამწვავებული ქცევისას გაკავების პროცესში; დევიაციური ქცევის დაფიქსირებისას შესაბამის უწყებებთან რეფერირების პროცესის ცოდნა. პროგრამის სრულყოფისთვის, გარდა არაფორმალური განათლებისა, რომლის საშუალებას ტრენინგის სახით იძლევა უნივერსიტეტი. ექსპერტთა აზრით, სასურველია, პროგრამას დაემატოს ქცევის მართვის სავალდებულო ან არჩევითი კურსი
- სილაბუსში „მუსიკის სწავლების საფუძვლები" ძალიან ცოტა დრო ეთმობა მუსიკის სასწავლო გეგმას და საერთოდ არაა განხილული მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი (მითითებულია).ეს დოკუმენტები მათი მნიშვნელობის შესაბამისად უნდა აისახოს კურსში
- საგნობრივი კურსების დასახელება კურიკულუმსა და სილაბუსში არ ემთხვევა, მაგალითად, გვხვდება „ტრადიციული მუსიკა და მისი გამოყენება სწავლების დაწყებით საფეხურზე" კურიკულუმში და „ტრადიციული მუსიკის სწავლება სკოლებში" სილაბუსში, ასევე სხვა კურსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სილაბუსები გარკვეულად ასახავს შემოქმედებით პროცესს (იმპოვიზაციულობა ორფის პედაგოგიკაში, რეპერტუარის შესწავლა ტრადიციული მუსიკის კურსში, კომპოზიციების შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების კურსში), ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში არ აქვთ შესაძლებლობა, განივითარონ/განიმტკიცონ მუსიკის მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული ისეთი შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარები, რომლებიც მათ მიერ პედაგოგიური პროცესის წარმართვის აუცილებელი წინაპირობაა. ასეთებია:

“ა.ა) სიმღერა (მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემა ნაწარმოების შესრულების დროს; გამართული სოლფეჯირების უნარები; სოლო და საანსამბლო/საგუნდო პარტიების შესრულებისა და სწავლების უნარები);

ა.ბ) საკრავის/საკრავების ფლობა მარტივი მუსიკალური ნაწარმოების შესრულების, აკომპანემენტის სახით, იმპროვიზაციის დროს;

ა.გ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება)“ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში / მუხლი 90. დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/253918.pdf

პროგრამის სტუდენტებს, მათი განათლებიდან და სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე - საკრავზე შემსრულებელი, დირიჟორი, მომღერალი, მუსიკისმცოდნე და ა. შ. დასახელებული უნარებიდან განვითარებული ექნებათ ერთი ან ორი, და მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში - სამივე უნარი. კომისია მიიიჩნევს, რომ ამ უნარების გარეშე შეუძლებელია მუსიკის გაკვეთილის სრულფასოვნად წარმართვა და მათი განვითარება/განმტკიცება მასწავლებლისათვის პროგრამის საგნობრივ მიმართულებაში უნდა აისახოს.

პროგრამა ჩაშენებული და სასკოლო პრაქტიკით უშუალოდ პრაქტიკული პედაგოგიური უნარების განვითარებაზეა მიმართული, მით უმეტეს, რომ თეორიული საგნებიც, ფაქტობრივად, პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას ემსახურება.

ჩაშენებული პრაქტიკის 9 და სასკოლო პრაქტიკის 6 კრედიტით პრაქტიკა კარგად ჩამოყალიბებულ პროცესს წარმოადგენს, რაც სკოლებთან მემორანდუმის გაფორმებას, საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ გამოკითხვას, სტუდენტის, მასწავლებლისა და სკოლის ხელმძღვანელის შეხვედრის ორგანიზებას და სხვა ეტაპებს მოიცავს. ითვალისწინებს მონიტორინგს ყველა ეტაპზე, პრაქტიკის შეფასებას ყოველ სემესტრში,

ხელმძღვანელის შეფასებას სტუდენტის მიერ და საბოლოოდ, მისი საჭიროებების მიხედვით ინტერვენციებს დაგეგმვას.
პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა პირის მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც ურთიერთობენ ერთმანეთთან ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- პრაქტიკის დოკუმენტი
- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:
აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სილაბუსები გარკვეულად ასახავს შემოქმედებით პროცესს (იმპოვიზაციულობა ორფის პედაგოგიკაში, რეპერტუარის შესწავლა ტრადიციული მუსიკის კურსში, კომპოზიციების შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების კურსში), ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში არ აქვთ შესაძლებლობა, განივითარონ/განიმტკიცონ მუსიკის მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული ისეთი შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარები, რომლებიც მათ მიერ პედაგოგიური პროცესის წარმართვის აუცილებელი წინაპირობაა. ასეთებია:

“ა.ა) სიმღერა (მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემა ნაწარმოების შესრულების დროს; გამართული სოლფეჯირების უნარები; სოლო და საანსამბლო/საგუნდო პარტიების შესრულებისა და სწავლების უნარები);
ა.ბ) საკრავის/საკრავების ფლობა მარტივი მუსიკალური ნაწარმოების შესრულების, აკომპანემენტის სახით, იმპროვიზაციის დროს;
ა.გ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება)“ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში / მუხლი 90. დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/253918.pdf

პროგრამის სტუდენტებს, მათი განათლებიდან და სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე - საკრავზე შემსრულებელი, დირიჟორი, მომღერალი, მუსიკისმცოდნე და ა. შ. დასახელებული უნარებიდან განვითარებული ექნებათ ერთი ან ორი, და მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში - სამივე უნარი. კომისია მიიიჩნევს, რომ ამ უნარების გარეშე შეუძლებელია მუსიკის გაკვეთილის სრულფასოვნად წარმართვა და მათი

განვითარება/განმტკიცება მასწავლებლისათვის პროგრამის საგნობრივ მიმართულებაში უნდა აისახოს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში მოცემული სწავლების მეთოდების დიდი ჩამონათვალი სილაბუსებში სხვადასხვა კომბინაციით გვხვდება, რაც კონკრეტული კურსის სპეციფიკას შეესაბამება. ასე მაგალითად, კურსში „ტრადიციული მუსიკა საჯარო სკოლაში" ვხვდებით ვერბალურ, პრაქტიკული სწავლების, ელექტრონული სწავლების, დემონსტრირების, დისკუსი/დებატების, ჯგუფური მუშაობის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს. თუმცა მითითებული არაა პროექტებით სწავლება, რაც წარმოდგენილია კურსში.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ მისი მეთოდურად გააზრებული ღერძია, რაც თეორიული მასალის პირდაპირ მიწოდებას ამცირებს.

აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის, პროგრამის, სილაბუსებისა და ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კურსის ამგვარი მეთოდური აგება - ჩაშენებული პრაქტიკა, ინტერაქტიური სწავლება, მასწავლებლის პროფესიის მიმართ პროფესიული ინტერესის, კვლევის სურვილის გაღვივებას უწყობს ხელს. პრაქტიკის დიდი წილი დევს როგორც პედაგოგიურ, ასევე მუსიკალური საგნების კონცეფციაშიც, იქნება ეს

„კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკის კურსი“, „ტრადიციული მუსიკის სწავლება სკოლაში“, თუ „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე“.
ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს და აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკა. ასევე ფუნქციონირებს ინდივიდუალური კონსულტაციების სისტემაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- პრაქტიკის დოკუმენტი
- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კურსში „ტრადიციული მუსიკა საჯარო სკოლაში“ ვხვდებით ვერბალურ, პრაქტიკული სწავლების, ელექტრონული სწავლების, დემონსტრირების, დისკუსი/დებატების, ჯგუფური მუშაობის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს. მითითებული უნდა იყოს ასევე *პროექტებით სწავლება*, რაც წარმოდგენილია კურსში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების მიხედვით ხორციელდება, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალეა და შესსაბამება კანონმდებლობას. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა.
თითოეული კურსის სილაბუსში მოცემულია მისი შესაფერისი შეფასების სისტემა, რომელსაც სტუდენტი პირველ ლექციაზე ეცნობა.
სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია.
კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით. სასწავლო კურსის

| |
|---|
